

2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება

შპს “ჭეონია და კომპანია”

შინაარსი:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა
3. ძირითადი საშუალებები
4. არამატერიალური აქტივები
5. გაცემული სესხები
6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები
7. საკუთარი კაპიტალი
8. მიღებული სესხები და დარიცხული პროცენტები
9. საოპერაციო შემოსავლები
10. მოგების გადასახადი
11. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები
12. ოპერაციები და ნაშთები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან
13. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

შპს „აუდიტ ცენტრი იბერია“
ს/კ 204969294

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჭყონია და კომპანიას“ ხელმძღვანელებს და დამფუძნებელს,

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჭყონია და კომპანიას“ და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალის და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე. კერძოდ-2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები მის მიმდინარე აქტივებს აღემატებოდა 557 ათასი ლარით, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღემატებოდა 2160 ათასი ლარით. ამასთან სრულმა ზარალმა 2020 წელს შეადგინა 655 ათასი ლარი, ხოლო 2019 წელს-1165 ათასი ლარი. ეს მოვლენები ან პირობები, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რომელიც დაკავშირებულია იმ მოვლენებთან

და პირობებთან, რომლებსაც შეუძლია სერიოზულ ექვექვემ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად. ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია,

თანხვედრაშია 2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

- 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას; და
- ჯგუფის შვილობილი საწარმო არაარსებითია და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას შორის ასევე არის არაარსებითი.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

გურამ კიკაბიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-711372)

შპს „აუდიტ ცენტრი იბერიას“ სახელით

თბილისი, საქართველო

06 დეკემბერი 2021წ.



კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

ლარი'000	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	01 იანვარი 2019
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	3,481	3,330	2,797
არამატერიალური აქტივები	4	840	911	982
საინვესტიციო ქონება		245	245	245
გაცემული სესხები	5	4,103	4,066	3,640
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,669	8,552	7,664
მარაგები		773	949	777
საგადასახადო აქტივი		99	93	91
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		327	58	14
დებიტორული დავალიანება		1,503	1,383	1,064
ფული და ფულის ექვივალენტები	6	312	194	208
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,014	2,677	2,154
სულ აქტივები		11,683	11,229	9,818
კაპიტალი	7			
საწესდებო კაპიტალი		1,245	2	2
გაუნაწილებელი მოგება		3,563	4,390	5,824
კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებული კაპიტალი		4,808	4,392	5,826
არამაკონტროლებელი წილი		739	629	509
სულ კაპიტალი		5,547	5,021	6,335
გრძელვადიანი სესხები	8	2,565	1,371	1,086
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	197
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,565	1,371	1,283
მოკლევადიანი სესხები	8	430	980	467
კრედიტორული და სხვა ვალდებულებები		2,796	3,388	1,593
მიღებული ავანსები		207	148	50
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		138	321	90
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,571	4,837	2,200
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11,683	11,229	9,818

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "ჰეონია და კომპანიის" სახელით 2021 წლის 10 სექტემბერს.

შპს "ჰეონია და კომპანიის" დირექტორი თემურ ჰეონია

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

ლარი'000	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	01 იანვარი 2019
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	3,481	3,330	2,797
არამატერიალური აქტივები	4	840	911	982
საინვესტიციო ქონება		245	245	245
გაცემული სესხები	5	4,103	4,066	3,640
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,669	8,552	7,664
მარაგები		773	949	777
საგადასახადო აქტივი		99	93	91
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		327	58	14
დებიტორული დავალიანება		1,503	1,383	1,064
ფული და ფულის ექვივალენტები	6	312	194	208
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,014	2,677	2,154
სულ აქტივები		11,683	11,229	9,818
კაპიტალი	7			
საწესდებო კაპიტალი		1,245	2	2
გაუნაწილებელი მოგება		3,563	4,390	5,824
კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებული				
კაპიტალი		4,808	4,392	5,826
არამაკონტროლებელი წილი		739	629	509
სულ კაპიტალი		5,547	5,021	6,335
გრძელვადიანი სესხები	8	2,565	1,371	1,086
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	197
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,565	1,371	1,283
მოკლევადიანი სესხები	8	430	980	467
კრედიტორული და სხვა				
ვალდებულებები		2,796	3,388	1,593
მიღებული ავანსები		207	148	50
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		138	321	90
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,571	4,837	2,200
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11,683	11,229	9,818

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "ჟეონია და კომპანია" სახელით 2021 წლის 10 სექტემბერს.



შპს "ჟეონია და კომპანიის" დირექტორი ივანე ჟეონია

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "ჟეონია და კომპანიის" სახელით 2021 წლის 10 სექტემბერს.

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

ლარი '000	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	9	6,209	7,030
შემოსავალი მომსახურებიდან	9	3,388	6,641
სხვა საოპერაციო შემოსავალი	9	56	85
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(2,287)	(3,517)
მომსახურების თვითღირებულება		(1,568)	(3,150)
საერთო მოგება		5,798	7,089
სხვა საოპერაციო ხარჯები			
ხელფასის ხარჯი		(2,997)	(4,224)
ტრანსპორტირების ხარჯი		(427)	(622)
რეკლამის ხარჯი		(5)	(129)
ადმინისტრაციული ხარჯი		(1,154)	(1,465)
იჯარა		(844)	(1,038)
მიმდინარე რემონტის დანახარჯები		(349)	(225)
ცვეთის ხარჯი		(405)	(474)
სხვა ხარჯი		(92)	(133)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი		(6,273)	(8,310)
არასაოპერაციო შემოსავალი			
საპროცენტო შემოსავალი		211	195
ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება		128	117
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		30	10
სულ არასაოპერაციო შემოსავალი		369	322
არასაოპერაციო ხარჯი			
საპროცენტო ხარჯი		(249)	(166)
ვალუტის გადაფასებიდან მიღებული ზარალი		(295)	(56)
სხვა არასაოპერაციო ზარალი		(5)	(44)
სულ არასაოპერაციო ხარჯი		(549)	(266)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		(655)	(1,165)
მოგება, მიკუთვნებადი:			
კომპანიის მფლობელებზე		(765)	(1,285)
არამაკონტროლებელ წილზე		110	120
სულ წლის სრული შემოსავალი		(655)	(1,165)

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

'000 ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2019	2	5,824	509	6,335
შენატანი და განაწილებები				
დივიდენდები	-	(149)	-	(149)
საწესდებო კაპიტალის ზრდა მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	2	4,390	629	5,021
ბალანსი 1 იანვარი 2020	2	4,390	629	5,021
შენატანი და განაწილებები				
დივიდენდები	-	(62)	-	(62)
საწესდებო კაპიტალის ზრდა მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	1,243	-	-	1,243
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	1,245	3,563	739	5,547

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

(თანხა მოცემულია ქართულ ლარში)

ლარი '000

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
შემოსავალი ნავაჭრი ამონაგებიდან	11,235	15,683
მომწოდებლებისთვის გადახდილი თანხები	(8,721)	(11,551)
ადმინისტრაციული ხარჯები	(2,924)	(3,061)
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან პროცენტებამდე და მოგების გადასახადამდე	(410)	1,071
გადახდილი პროცენტები	(120)	(74)
ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-530	997
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/რეაბილიტაცია	(385)	(866)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	3	-
ნეტო ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-382	-866
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის აღება	1,290	2,449
სესხის დაფარვა	(567)	(2,424)
გაცემული სესხის მიღება	379	
გადახდილი დივიდენდი	(62)	(149)
ნეტო ფული გამოყენებული ფინანსურ საქმიანობაში	1,040	-124
ფულადი ნაკადების ნეტო ზრდა/(შემცირება)	128	7
ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის დასაწყისში	194	208
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(10)	(21)
ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	312	194

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჭყონია და კომპანია“ (შემდეგში «კომპანია») დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (ს/ნ 202060312).

კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს თბილისში, წერეთლის გამზ., №114

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქონლის რეალიზაცია, სასტუმროს მომსახურება და უძრავი ქონების იჯარა.

2018 წლის 1 მაისიდან კომპანიამ სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“-საგან (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო) იჯარით აიღო ქობულეთში შავი ზღვის სანაპიროზე არსებული ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს (დასასვენებელი კომპლექსის) „ჯორჯიან პალას ჰოტელის“ უძრავ-მომრავი ქონება. აღნიშნული პერიოდიდან კომპანია ახორციელებს სასტუმროს მომსახურებას.

კომპანია დაფუძნდა 1998 წლის 02 ივლისს და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მესაკუთრე არის თემურ ჭყონია. კომპანიას მართავს დირექტორი თემურ ჭყონია - საქართველოს მოქალაქე.

კომპანია ფლობს შემდეგი შვილობილი საწარმოებს:

დასახელება	ს/ნომერი	საქმიანობა	წილი 31/12/2020წ	წილი 31/12/2019წ	წილი 01/01/2019წ
შპს ნატურალი	202052697	უმოქმედო	0%	0%	100%
შპს ბი ბი გამ	202052688	უმოქმედო	100%	100%	100%
შპს ბეიბი იმპერია B.I.	202054695	უმოქმედო	51%	51%	51%
შპს მარგალიტა	201990088	უმოქმედო	100%	100%	100%
შპს მალი	201943978	უმოქმედო	0%	0%	100%
შპს ცენტურიონი	202053749	დაცვის მომსახურება	70%	70%	70%
შპს ლიონი	215091095	უმოქმედო	0%	0%	100%
შპს ვარძია	223098911	CO2 გაზის მოპოვება და რეალიზაცია	100%	100%	100%
		CO2 გაზის მოპოვება და რეალიზაცია	75%	75%	75%
შპს ცო2+	224069530	პურ ფუნთუშეულის წარმოება და	52.50%	52.50%	52.50%
შპს ემსიბი ჯორჯია	200037986	დისტრიბუცია			

შპს „ვარძია“ ფლობს შპს „მტკვარის“ (ს/ნ 223102620) 60%-იან წილს. შპს „მტკვარი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების იჯარა.

შემდგომში „კომპანია“ და მისი შვილობილი ერთობლივად მოხსენიებულ იქნება როგორც „ჯგუფი“.

კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები არიან ჯგუფის მიერ კონტროლირებადი სტრუქტურული ერთეულები. ჯგუფს შეუძლია მართოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა, რათა სარგებელი მიიღოს მისი ფუნქციონირების შედეგად და რომელშიც, როგორც წესი, ფლობს ხმის უფლების ნახევარზე მეტს.

ჯგუფს აქვს უფლება დანიშნოს და გაანთავისუფლოს დირექტორები, ასევე განახორციელოს ფინანსური ოპერაციებისა და საოპერაციო აქტივობების მართვა, ვინაიდან, როგორც კომპანიის მენეჯმენტის წარმომადგენელი, სარგებლობს დირექტორის უფლებამოსილებით.

შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშები ჩართულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში იმ დღიდან, როდესაც მათზე კონტროლი ჯგუფს გადაეცა. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა შესაძლებელია შეიცვალოს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ჯგუფის მიერ მიღებული ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის დაცვა. შვილობილ კომპანიაში არაკონტროლირებადი წილის ზარალი მიკუთვნებულია არაკონტროლირებად წილზე იმის მიუხედავად, იწვევს თუ არა აღნიშნული არაკონტროლირებადი წილის უარყოფით ბალანსის წარმოქმნას.

ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვის აღრიცხვისათვის გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული იდენტიფიცირებადი აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, თავდაპირველად აღრიცხება შესყიდვის დღისათვის მათი სამართლიანი ღირებულებით, უმცირესობის წილის მოცულობის მიუხედავად. ის ნამეტი თანხა, რომლითაც შეძენისას გადახდილი თანხა აღემატება შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების იმ სამართლიან ღირებულებას, რომელიც მათ ქონდათ შესყიდვის მომენტში, აღიარდება კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც გუდვილი. შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება არის სხვაობა შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების სამართლიან ღირებულებასა და შეძენილი იდენტიფიცირებადი ვალდებულებების (პირობითი ვალდებულებების ჩათვლით) სამართლიან ღირებულებას შორის შესყიდვის მომენტისათვის. თუ შეძენისას გადახდილი საფასური ნაკლებია შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაზე, სხვაობის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში (მოგება ან ზარალი).

კომპანიათშორისი ოპერაციები, ტრანზაქციები, ნაშთები და სათავოსა და მის შვილობილ კომპანიებს (რომლებიც ურთიერთდამოკიდებულ მხარეებს წარმოადგენენ) შორის ოპერაციების შედეგად არსებული არარეალიზებული მოგება სრულად გაუქმება ექვემდებარება. ჯგუფის შიდა ზარალი ასევე გაუქმება ექვემდებარება, თუმცა ეს შეიძლება მიანიშნებდეს გარკვეულ გაუარესებაზე, რაც უნდა აისახოს (აღიარდეს) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

წილი შვილობილ კომპანიაში, რომელსაც არ ფლობს ჯგუფი წარმოადგენს უმცირესობის წილს. უმცირესობის წილი ანგარიშგების თარიღისათვის წარმოადგენს უმცირესობაში მყოფ წილს შვილობილი კომპანიის იდენტიფიცირებადი ნეტო აქტივების სამართლიან ღირებულებაში შესყიდვის დღისათვის, რასაც ემატება მათი წილი კაპიტალის ცვლილებაში შესყიდვის დღის შემდეგ უმცირესობის წილი წარმოდგენილია კაპიტალში. ზარალი, რომელიც განაწილებულია უმცირესობის წილზე, არ აღემატება უმცირესობის წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, თუ უმცირესობის წილის მფლობელებს არ აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი ნაწილდება ჯგუფზე.

2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა

მომზადების საფუძველი

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (“**GEL**”).

უცხოურ ვალუტაში ჩატარებული ოპერაციების ასახვა ხდება ოპერაციის ჩატარების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის მიხედვით. ასეთი ოპერაციების ჩატარებით მიღებული მოგება-ზარალი აისახება შემოსავლების ანგარიშგებაში.

2020 წლის 31 დეკემბერს, უცხო ვალუტის ნაშთების ლარში გადაყვანის მიზნით გამოყენებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შემდეგი გაცვლითი კურსები:

31/12/2019 1 აშშ დოლარი=2.8677ლარი.

31/12/2019 1 ევრო= 3.2095 ლარი.

31/12/2020 1 აშშ დოლარი= 3.2766ლარი.

31/12/2020 1 ევრო= 4.0233 ლარი.

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, მოთხოვნად დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა ვადაც 3 თვეს ან უფრო ნაკლებს შეადგენს. საბანკო ოვერდრაფტები ასახულია სესხების ნაწილში, მიმდინარე ვალდებულებებში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სავაჭრო მოთხოვნები

ჯგუფის მიერ რეალიზაციის ოპერაციები ძირითადად ხორციელდება შემუშავებული ჩვეულებრივი პირობებით, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმ ობიექტური მტკიცებულების დასადგენად, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება ამ

თანხების ამოღებადობის შესაძლებლობა. თუკი არსებობს მსგავსი სახის მტკიცებულებები, ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღირიცხვა ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ჯგუფია იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს. სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს შეძენის, ტრანსპორტირების და დასაწყობების ხარჯებს. შეფასებით გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო გასაყიდი ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება შემდეგი პრინციპით: ისტორიულ ღირებულებას აკლდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები	25-50 წელი
- მოწყობილობა-დანადგარები	10-15 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები	7-15 წელი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა	5-10 წელი
- ავეჯი	5-18 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები	3-10 წელი

თუ ბოლო ანგარიშგების თარიღის შემდეგ გაირკვევა, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის ნორმა მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაშინ მოცემული აქტივის ცვეთა გადაიხედება და შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (*მათ შორის შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა*) და სხვა არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადა შეადგენს 3-10 წელს.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

თუ ბოლო ანგარიშგების თარიღის შემდეგ გაირკვევა, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის ნორმა მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაშინ მოცემული აქტივის ცვეთა გადაიხედება და შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუკი არსებობს ასეთი ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს აქტივის (დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის ხდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ტესტირება გაუფასურებაზე, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება უდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ გაუფასურებულია, სმფ-ს საბალანსო ღირებულება მცირდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი კი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სმფ-ს შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი პირობების საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებებს და არ ითვალისწინებს რაიმე პროცენტებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ლარში (საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით). ასეთი საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შედეგი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და

აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი ჯგუფს არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (*ჩვეულებრივ*) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელების ასახვა ხდება მოგებაში ან ზარალში იჯარის ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება.

ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება საქონლის რეალიზაციიდან (*მომსახურების გაწევიდან*) ხდება როცა მყიდველს მიეწოდება საქონელი (*მომსახურება*) და გადაეცემა საკუთრების უფლება. შემოსავლის აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, მიღებული/მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღ-სა და ყოველგვარი ფასდათმობის გარეშე.

საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება „დროის პროპორციულობის“ საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან შეიცვალა კომპანიების მოგების გადასახადით დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი. ახალი, ე.წ. “*ესტონური*”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (*რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან*) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფორმით. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს გადავადებულ აქტივებს და ვალდებულებებს.

დღგ

ჯგუფი გაყიდვების/მომსახურების ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ-ს გადახდას სახელმწიფო ბიუჯეტში აწარმოებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გათვალისწინებით).

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

ხელფასებს, ბონუსებს, ანაზღაურებად შვებულებებს, ბიულეტენებს და არაფულად სარგებლებს ჯგუფი ასახავს დარიცხვის მეთოდით იმავე პერიოდში, რომელშიც ჯგუფის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. ჯგუფს არ აქვს რაიმე სახის საპენსიო (ან მსგავსი პროგრამის) ვალდებულება.

არაარსებობის გამო ჯგუფის მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების ასახვა/აღრიცხვა.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდების ვალდებულებად აღრიცხვა ხდება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცხადებისა და დამტკიცების შესაბამის პერიოდში.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება ჯგუფის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	საოფისე და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა აქტივები	სულ
'000 ლარი						
ღირებულება						
ნაშთი 1 იანვარი 2019	105	2,470	1,654	591	1,069	5,889
დამატება		24	265	19	665	973
გასვლა				(12)	(31)	(43)
გადაჯგუფება						-
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	105	2,494	1,919	598	1,703	6,819
ნაშთი 1 იანვარი 2020	105	2,494	1,919	598	1,703	6,819
დამატება			77	22	411	510
გასვლა			(25)			(25)
გადაჯგუფება						-
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	105	2,494	1,971	620	2,114	7,304
ცვეთა და ამორტიზაცია						
ნაშთი 1 იანვარი 2019	-	1,559	1,260	165	108	3,092
წლის დარიცხული ცვეთა		37	54	47	259	397
დამატება						-
გასვლა						-
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	-	1,596	1,314	212	367	3,489
ნაშთი 1 იანვარი 2020	-	1,596	1,314	212	367	3,489
წლის დარიცხული ცვეთა		37	73	50	174	334
დამატება						-

გასვლა

ნაშთი 31 დეკემბერი 2020

-	1,633	1,387	262	541	3,823
---	-------	-------	-----	-----	-------

საბალანსო ღირებულება

1 იანვარი 2019

105	911	394	426	961	2,797
-----	-----	-----	-----	-----	-------

31 დეკემბერი 2019

105	898	605	386	1,336	3,330
-----	-----	-----	-----	-------	-------

31 დეკემბერი 2020

105	861	584	358	1,573	3,481
-----	-----	-----	-----	-------	-------

4. არამატერიალური აქტივები

’000 ლარი

ღირებულება

ნაშთი 1 იანვარი 2019

1,727

დამატება

გასვლა

გადაჯგუფება

ნაშთი 31 დეკემბერი 2019

1,727

ნაშთი 1 იანვარი 2020

1,727

დამატება

გასვლა

გადაჯგუფება

ნაშთი 31 დეკემბერი 2020

1,727

ცვეთა და ამორტიზაცია

ნაშთი 1 იანვარი 2019

745

წლის დარიცხული ცვეთა

71

დამატება

გასვლა

ნაშთი 31 დეკემბერი 2019

816

ნაშთი 1 იანვარი 2020

816

წლის დარიცხული ცვეთა

71

დამატება

გასვლა

ნაშთი 31 დეკემბერი 2020

887

საბალანსო ღირებულება

1 იანვარი 2019

982

31 დეკემბერი 2019

911

31 დეკემბერი 2020

840

5. გაცემული სესხები

'000 ლარი	2020წ. 31 დეკემბერი	2019წ. 31 დეკემბერი	2018წ. 31 დეკემბერი
ფიზიკურ პირზე გაცემული სესხი	1,408	1,676	1,565
ფიზიკურ პირზე გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტი	2,169	2,011	1,860
იურიდიულ პირზე გაცემული სესხი	422	329	199
იურიდიულ პირზე გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტი	104	51	16
სულ გაცემული სესხები	4,103	4,066	3,640

6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

'000 ლარი	2020წ. 31 დეკემბერი	2019წ. 31 დეკემბერი	2018წ. 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	182	123	191
ნაღდი ფული	130	71	17
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები:	312	194	208

7. საკუთარი კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2 ათას ლარს.

(ბ) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გასანაწილებელი მოგების ოდენობა შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების თანხით, რომელიც დაფიქსირებულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. 2020 წელს კომპანიის მიერ მოხდა წინა პერიოდის მოგების შესაბამისი დივიდენდების გამოცხადება და გაცემა.

8. მიღებული სესხები და დარიცხული პროცენტები

'000 ლარი	2020წ. 31 დეკემბერი	2019წ. 31 დეკემბერი	2019წ. 01 იანვარი
ბაკიდან მიღებული სესხები	2,995	2,351	1,553
სულ მიღებული სესხები	2,995	2,351	1,553

9. საოპერაციო შემოსავლები

'000 ლარი	2019 წელი	2019 წელი
სასტუმროს მომსახურება	3,320	6,582
ნახშირორჟანგის რეალიზაცია	3,503	4,554
პურ-ფუნთუშეულობის რეალიზაცია	2,690	2,411
სხვა	140	209
სულ საოპერაციო შემოსავლები	9,653	13,756

10. მოგების გადასახადი

კანონმდებლობის ცვლილების შესაბამისად «ესტონურ მოდელზე» გადასვლის შემდეგ, ჯგუფს მოგების გადასახადის დარიცხვის და გადახდის ვალდებულება წარმოეშვა არა მოგების მიღების მომენტში, არამედ ამ მოგების განაწილების დროს.

11. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები

მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული აქტივები. ჯგუფს საკუთარი, დამფუძნებლის და სხვა დაკავშირებული კომპანიების მიერ აღებული სესხის უზრუნველსაყოფად, ბანკის სასარგებლოდ დაგირავებული აქვს: არსებული და სამომავლო ქონება და არამატერიალური ქონება.

COVID-19. ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა საქონლის რეალიზაცია, იჯარა, სასტუმროს და სარესტორნო მომსახურება, ნახშირორჟანგის მოპოვება და რეალიზაცია, პურ-ფუნთუშეულობის წარმოება და რეალიზაცია, შესაბამისად ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული შეზღუდვები მის ეკონომიკურ საქმიანობას მნიშვნელოვნად არ შეეხო. ასევე ვირუსს მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის შემოსავლებზე.

12. ოპერაციები და ნაშთები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან**ძირითადი მენეჯმენტის ანაზღაურება**

ძირითადი მენეჯმენტი გულისხმობს ჯგუფის დირექტორებს და ფინანსურ მენეჯერებს. მენეჯმენტისათვის გაცემული ანაზღაურება, აღნიშნულ თანამდებობაზე სრული დატვირთვით მუშაობის პირობებში, მოიცავს სახელშეკრულებო ხელფასს, კომპანიის ფინანსურ შედეგებზე დამოკიდებულ პრემიებს და სხვა ხარჯების ანაზღაურებას. მთლიანი ანაზღაურება მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

'000 ლარი	2020	2019
ხელფასი და სარგებელი	286	537
სულ ძირითადი მენეჯმენტის ანაზღაურება	286	537

შემენილი მატერიალური ფასეულობები და მომსახურება

	2020 წელი '000 ლარი	2019 წელი '000 ლარი
დაკავშირებული იურიდიული პირისაგან მიღებული საიჯარო მომსახურება და შემენილი მატერიალური ფასეულობები	808	1,059

დაკავშირებული იურიდიული პირებისათვის საქონლის და მომსახურების რეალიზაცია

	2020 წელი '000 ლარი	2019 წელი '000 ლარი
დაკავშირებული იურიდიული პირისათვის საქონლის და მომსახურების რეალიზაცია	2,604	3,232

დივიდენდი

	2020 წელი '000 ლარი	2019 წელი '000 ლარი
შვილობილი კომპანიისგან მიღებული დივიდენდი	496	1

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

'000 ლარი	2020წ. 31 დეკემბერი	2019წ. 31 დეკემბერი	2019წ. 31 დეკემბერი
დავალიანება დაკავშირებული კომპანიის მიმართ	1,612	1,696	696
მოთხოვნა დაკავშირებული პირების მიმართ	191	160	117
დაკავშირებულ ფიზიკურ პირზე გაცემული სესხები	1,408	1,676	1,565
ფიზიკურ პირზე გაცემული სესხებიდან მისაღები პროცენტები	2,169	2,011	1,860
დაკავშირებულ იურიდიულ პირზე გაცემული სესხი	422	329	199
დაკავშირებულ იურიდიულ პირზე გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტი	104	51	16

13. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

ჯგუფს არ ჰქონია მაკორექტირებელი ან არამაკორექტირებელი ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც საჭიროებდნენ გაშიფვრას ფინანსურ ანგარიშგებაში.

მმართველობის ანგარიშგება

შპს „ჭყონია და კომპანიის“ ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ჭყონია და კომპანია“ (შემდგომში “კომპანია”) საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე დაფუძნდა და საქმიანობა დაიწყო 1998 წლიდან (ს/ნ 202060312). 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ჭყონია და კომპანიის“ ერთპიროვნული მმართველი და მესაკუთრე არის თემურ ჭყონია.

კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს თბილისში, წერეთლის გამზ., №114

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქონლის რეალიზაცია, სასტუმროს მომსახურება და უძრავი ქონების იჯარა.

2018 წლის 1 მაისიდან კომპანიამ სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“-საგან (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო) იჯარით აიღო ქობულეთში შავი ზღვის სანაპიროზე არსებული ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს (დასასვენებელი კომპლექსის) „ჯორჯიან პალას ჰოტელის“ უძრავ-მომრავი ქონება. აღნიშნული პერიოდიდან კომპანია ახორციელებს სასტუმროს მომსახურებას.

კომპანია ფლობს შემდეგ შვილობილ საწარმოებს:

დასახელება	ს/ნომერი	საქმიანობა	წილი 31/12/2020წ	წილი 31/12/2019წ	წილი 01/01/2019წ
შპს ნატურალი	202052697	უმოქმედო	0%	0%	100%
შპს ბი ბი გამ	202052688	უმოქმედო	100%	100%	100%
შპს ბეიბი იმპერია B.I.	202054695	უმოქმედო	51%	51%	51%
შპს მარგალიტა	201990088	უმოქმედო	100%	100%	100%
შპს მალი	201943978	უმოქმედო	0%	0%	100%
შპს ცენტურიონი	202053749	დაცვის მომსახურება	70%	70%	70%
შპს ლიონ	215091095	უმოქმედო	0%	0%	100%
შპს ვარძია	223098911	CO2 გაზის მოპოვება	100%	100%	100%
		და რეალიზაცია			
შპს ცო2+	224069530	CO2 გაზის მოპოვება	75%	75%	75%
		და რეალიზაცია			
შპს ემსიბი ჯორჯია	200037986	პურ ფუნთუშეულის წარმოება და	52.50%	52.50%	52.50%
		დისტრიბუცია			

შპს „ვარძია“ ფლობს შპს „მტკვარის“ (ს/ნ 223102620) 60%-იან წილს. შპს „მტკვარი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების იჯარა.

შემდგომში “კომპანია” და მისი შვილობილები ერთობლივად მოხსენიებულ იქნება როგორც “ჯგუფი”.

ორგანიზაციული სტრუქტურა

კომპანიის დირექტორი ერთპიროვნულად ახორციელებს კომპანიის მართვას კომპანიის წესდების საფუძველზე. მხოლოდ მას შეუძლია კომპანიის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება.

ძირითად მენეჯმენტად განიხილება კომპანიის დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ფინანსური სამსახურის უფროსი.

ამ ეტაპისათვის ჯგუფის სტრუქტურით არ არის განსაზღვრული შიდა აუდიტის განყოფილება, თუმცა მენეჯმენტის გადაწყვეტილებით აქტიურად მიმდინარეობს აღნიშნული განყოფილების შექმნისა და დანერგვისათვის საჭირო პროცედურები.

ჯგუფში მოქმედებს შიდა კონტროლის სისტემის პროცედურები და შესაბამისად ხდება გამოვლენილ ხარვეზებზე რეაგირება.

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით ჯგუფი საჭიროებისამებრ აქტიურად იყენებს გარე კომპანიებისაგან მოწოდებულ კვალიფიციურ მომსახურებას იურიდიულ და საგადასახადო საკითხებზე.

ტექნოლოგიური ცვლილებები

ბიზნესის წინსვლის უზრუნველსაყოფად ჯგუფს ერთ-ერთ პრიორიტეტად განსაზღვრული აქვს ტექნიკური (ტექნოლოგიური) სიახლეების დანერგვა და განვითარება. ტექნოლოგიურმა სიახლემ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ჯგუფში ოპერაციების აღრიცხვის სისწრაფე, საიმედოობა და ხარისხი.

საბაზრო უპირატესობები

ჯგუფი დიდ ყურადღებას აქცევს ადამიანური რესურსების მართვას და მუდამ ზრუნავს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. მენეჯმენტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ღირსეული სამუშაო პირობების უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, ჯგუფიდან კადრების დენადობა უმნიშვნელოა და ჯგუფში დასაქმებულთა უმეტესობა გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციითა და ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მუშაობის შედეგად დაგროვილი

დიდი გამოცდილებით. ბაზარზე არსებულ აღნიშნულ სეგმენტში მოქმედ კომპანიებს შორის ჯგუფი შესაძლებელია განხილულ იქნეს ერთ-ერთი მოწინავედ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფი საზოგადოებაში დადებითი რეპუტაციით სარგებლობს.

სოციალური ღონისძიებები

ჯგუფი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს გარემოს დაცვით საკითხებს. მკაცრად აკონტროლებს თავისი ავტოპარკის ტექნიკურ მდგომარეობას, განსაზღვრული შიდა რეგულაციებით პერიოდულად ამოწმებს მის შესაბამისობას აღიარებულ სტანდარტებთან მიმართებაში. მენეჯმენტის მხრიდან იგეგმება მონაწილეობის მიღება გარემოს დაცვისა და გამწვანების სხვადასხვა ღონისძიებებში.

საქართველოში გარემოს დაცვის რეგულაციების შესრულება ძალას იკრეფს და სახელმწიფო ორგანოების მიერ გარემოს დაცვის მიდგომები მუდმივად გადაიხედება. ჯგუფი პერიოდულად აფასებს თავის ვალდებულებებს გარემოს რეგულაციების შესრულების ფარგლებში.

კომპანიის განვითარების გეგმები

ჯგუფი პერიოდულად ატარებს კვლევებს არსებული მომხმარებლების კმაყოფილების დადგენისა და ახალი ბაზრების ათვისების მიზნით. მიღებული კვლევის შედეგების გაანალიზების შემდეგ, მენეჯმენტი მსჯელობს აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის შესაძლო გზების შესახებ და იღებს გადაწყვეტილებებს ოპტიმალური ვარიანტის სასარგებლოდ. ჯგუფი გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს (*აქტივობებს*) დამატებითი მომხმარებლების მოძიების მიზნით.

წინამდებარე ანგარიში გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს “ჭყონია და კომპანიის”-ის სახელით 2021 წლის 19 ნოემბერს

.....
თემურ ჭყონია

შპს “ჭყონია და კომპანიის” დირექტორი

ღირსეული სამუშაო პირობების უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, ჯგუფიდან კადრების დენადობა უმნიშვნელოა და ჯგუფში დასაქმებულთა უმეტესობა გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციითა და ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მუშაობის შედეგად დაგროვილი დიდი გამოცდილებით. ბაზარზე არსებულ აღნიშნულ სეგმენტში მოქმედ კომპანიებს შორის ჯგუფი შესაძლებელია განხილულ იქნეს ერთ-ერთი მოწინავედ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფი საზოგადოებაში დადებითი რეპუტაციით სარგებლობს.

სოციალური ღონისძიებები

ჯგუფი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს გარემოს დაცვით საკითხებს. მკაცრად აკონტროლებს თავისი ავტოპარკის ტექნიკურ მდგომარეობას, განსაზღვრული შიდა რეგულაციებით პერიოდულად ამოწმებს მის შესაბამისობას აღიარებულ სტანდარტებთან მიმართებაში. მენეჯმენტის მხრიდან იგეგმება მონაწილეობის მიღება გარემოს დაცვისა და გამწვანების სხვადასხვა ღონისძიებებში.

საქართველოში გარემოს დაცვის რეგულაციების შესრულება ძალას იკრებს და სახელმწიფო ორგანოების მიერ გარემოს დაცვის მიდგომები მუდმივად გადაიხედება. ჯგუფი პერიოდულად აფასებს თავის ვალდებულებებს გარემოს რეგულაციების შესრულების ფარგლებში.

კომპანიის განვითარების გეგმები

ჯგუფი პერიოდულად ატარებს კვლევებს არსებული მომხმარებლების კმაყოფილების დადგენისა და ახალი ბაზრების ათვისების მიზნით. მიღებული კვლევის შედეგების გაანალიზების შემდეგ, მენეჯმენტი მსჯელობს აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის შესაძლო გზების შესახებ და იღებს გადაწყვეტილებებს ოპტიმალური ვარიანტის სასარგებლოდ. ჯგუფი გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს (*აქტივობებს*) დამატებითი მომხმარებლების მოძიების მიზნით.

წინამდებარე ანგარიში გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "ქეონია და კომპანიის"-ის სახელით 2021 წლის 19 ნოემბერს

